

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 მაისის №01-06/06
რიგგარეშე სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიან, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2022 წლის -- მაისი
დაბა ქედა

სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიან, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4-ე, პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (რ. ბერიძეს) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა 26 მაისის ქ. №1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული 32.5 კვ.მ. ფართის (ს/კ21.03.35.021.01.500) (გადასაცემი შენობის ფართის შიდა აზომვითი ნახაზი განკარგულებას თან ერთვის) სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სამი წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

განმარტებითი ბარათი

სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიან, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების „სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიან, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ რომელიც განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა 26 მაისის ქ.№1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული 32.5 კვ.მ. ფართის (ს/კ21.03.35.021.01.500) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიან, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის პროცედურებს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების დაწესებულ მოთხოვნების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელის მიღებაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას.

ასევე გაგიმარტავთ, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა 26 მაისის ქ.№1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული 32.5 კვ.მ. ფართის (ს/კ21.03.35.021.01.500) გადაცემა უნდა განხორციელდეს სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სამი წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით.

გადასაცემი ფართის საბალანსო ღირებულება შეადგენს 8562 (რვა ათას ხუთას სამოცდაორი) ლარს.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას, კერძოდ მერისათვის თანხმობის მიცემა ქონების გადაცემასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ფართის გადაცემა დროულად რათა ნოტარიუსმა შეძლოს თავისი უფლებამოსილების განხორციელება ქედაში.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რადგან ქონების სარწყავი არხების გამართული და ეფექტური მუშაობისათვის (მოქმედებისათვის) საჭირო ჩასატარებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს და მათი კაპიტალურ შეკეთებას უზრუნველყოფს ქონების მიმღები პირი.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) ინდივიდუალური აქტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

ინდივიდუალური აქტის არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური (ს. ბოლქვაძე).

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
Legal Entity of Public Law
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ნ ო ტ ა რ ი უ ს თ ა პ ა ლ ა ტ ა
CHAMBER OF NOTARIES OF GEORGIA



KA010043911322522

საქართველო, ქ.თბილისი ივ.ჯავახიშვილის ქუჩა N60, ტელ: (+995 32) 220 67 77
City of Tbilisi, Georgia 60, Iv. Javakhishvili Street, Tel (+995 32) 220 67 77

16/5351

10 / მაისი / 2022 წ.

ქედას მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ როლანდ ბერიძეს

ბატონო როლანდ,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეგიდით 2015 წლის 10 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე საქართველოს ნოტარიატში მიმდინარეობს რეფორმა, რითაც უზრუნველყოფილია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სანოტარო მომსახურების ხელმისაწვდომობა. რეფორმის მიზანია, რომ ყველა მუნიციპალიტეტს ემსახურობდეს ნოტარიუსი, რათა ადგილობრივ მოსახლეობას არ შეექმნას შეფერხება სანოტარო მომსახურების მიღების ნაწილში, ასევე, მუნიციპალიტეტებში შენარჩუნდეს უკვე არსებული სანოტარო ბიუროები.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 23 მარტის #134 ბრძანებით დაბა ქედაში ნოტარიუსად დაინიშნა მეგი ლომსაძე. ნოტარიუსთა პალატის მიზანია მაქსიმალურად ხელი შეუწყოს ნოტარიუსებს საქმიანობის სრულყოფილად განხორციელებაში იმისათვის, რომ მოსახლეობას არ მოუწიოს სხვა მუნიციპალიტეტში გადაადგილება მათთვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხების მოწესრიგებისას.

ამ ეტაპზე, დღის წესრიგში დგას ქედაში სანოტარო ბიუროსათვის შესაფერისი სამუშაო გარემოს მოძიების საკითხი. ნოტარიუსის მიერ მოძიებულ იქნა კონკრეტული საოფისე ფართი მისამართზე: ქედაში, 26 მაისის ქუჩა #1 [დავით აღმაშენებლის ქუჩა #16^ბ], საკადასტრო კოდი: 21.03.35.021.01.500, მე-2 სართული, 32,5 კვ.მ. საოფისე ფართი შერჩეულ იქნა იმის გათვალისწინებით, რომ სანოტარო ბიურო მუნიციპალიტეტში განთავსდეს საზოგადოებისათვის სტრატეგიულად ხელმისაწვდომ ადგილზე. ამასთან, სანოტარო ბიურო უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, აღნიშნული ინსტრუქციის მე-12 მუხლის მე-4¹ პუნქტის მოთხოვნათა თანახმად, „4¹. სანოტარო ბიურო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ა) სანოტარო ბიურო ან მისი ნაწილი არ უნდა მდებარეობდეს ნულოვანი ნიშნულის ქვევით; ბ) სანოტარო ბიურო ან მისი ნაწილი არ უნდა მდებარეობდეს შენობაში, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით არ არის ვარგისად აღიარებული ექსპლუატაციაში მიღებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც, კანონმდებლობის შესაბამისად, არ ექვემდებარება ექსპლუატაციაში მიღებისთვის ვარგისად აღიარებას; გ) სანოტარო ბიუროს საერთო ფართობი, სველი წერტილის გარდა, უნდა შეადგენდეს არანაკლებ 30 მ²-ს, ხოლო ორი ნოტარიუსის საერთო ბიუროს შემთხვევაში - არანაკლებ 70 მ²-ს; დ) სანოტარო ბიუროში ერთდროულად

ნოტარიუსის ორზე მეტი თანამშრომლის (თანაშემწე, თარჯიმანი ან სხვა) მუშაობის შემთხვევაში, სანოტარო ბიუროს საერთო ფართობი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 მ²-ს; ე) მოქალაქეთა მისაღები ან მოქალაქეთა მოსაცდელი სივრცის ფართობი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 15 მ²-ს და უნდა ჰქონდეს შესაბამისი ფართობის ფანჯარა, ხოლო თუ მოქალაქეთა მისაღები ან მოქალაქეთა მოსაცდელი სივრცე იმავდროულად ნოტარიუსის თანაშემწის სამუშაო ოთახია, მისი ფართობი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 20 მ²-ს ერთი თანაშემწის არსებობის შემთხვევაში, არანაკლებ 25 მ²-ს – ორი თანაშემწის არსებობის შემთხვევაში, ხოლო არანაკლებ 30 მ²-ს – სამი თანაშემწის არსებობის შემთხვევაში; ვ) ნოტარიუსის სამუშაო ოთახი არ უნდა იყოს ვინმესთან საზიარო, მას უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 მ² ფართობის ფანჯარა, უნდა იყოს იზოლირებული თანაშემწის სამუშაო ოთახისა და მოქალაქეთა მისაღებისაგან და ამავედროულად უზრუნველყოფდეს სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვას; ზ) სანოტარო ბიუროში თარჯიმნის მუშაობის შემთხვევაში მისი ფართობი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 40 მ²-ს და თარჯიმანს უნდა ჰქონდეს ცალკე გამოყოფილი სამუშაო ოთახი; თ) მოქალაქისთვის განკუთვნილი ოთახის მოპირდაპირე კედლებს შორის მანძილი უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრისა; ი) სანოტარო ბიუროში მოსახვედრად მოქალაქეს არ უნდა სჭირდებოდეს რაიმე ტიპის ნებართვა, საშვი ან წინასწარი ჩანერა სხვა ორგანიზაციის წარმომადგენელი თანამშრომლის შუამავლობით ან კერძო ორგანიზაციის მიერ შექმნილი ისეთი ბარიერების გადალახვა, როგორცაა დაცვის სამსახურის თანამშრომლის მიერ შემოწმება, ტურნიკეტი, შლაგბაუმი, ე.წ. ბოდისკანერი და სხვ.; კ) სანოტარო ბიუროს უნდა ჰქონდეს ბუნებრივი გზით განიავების შესაძლებლობა, უნდა იყოს აღჭურვილი შესაბამისი სტანდარტების მიხედვით მოწყობილი წყლის უწყვეტი მიწოდების სისტემით და უნდა იყოს ისეთ მდგომარეობაში, რომ მისი სველი წესით დალაგება იყოს შესაძლებელი; ლ) სანოტარო ბიუროში მუდმივად დაცული უნდა იყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.“.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, მოგმართავთ თხოვნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, დაბა ქედაში, 26 მაისის ქუჩა #1-ში [დავით აღმაშენებლის ქუჩა #16^ა] მდებარე შენობის [საკადასტრო კოდი: 21.03.35.021.01.500] მეორე სართულზე სანოტარო ბიუროს განსათავსებლად შესაბამისი ფართი [32,5 კვ.მ.] უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადასცეთ სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატას.

წინასწარ მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის!

პატივისცემით,

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგდამსმულია
ელემენტრულად



დავით ფუტკარაძე



მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 21.03.35.021.01.500

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022228172 - 05/04/2022 09:26:03

მომზადების თარიღი
11/04/2022 12:54:49

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება
ქელა	დაბა ქელა				ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
21	03	35	021	01/500	დამუშავებული ფართობი: 283.00 კვ.მ.

მისამართი: ქელას მუნიციპალიტეტი, დაბა ქელა, 26 მაისის ქუჩა, N 1

ნაკვეთის წინა ნომერი:
შენიშვნა-ნაგებობები: შენობა-ნაგებობა

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882012208115 , თარიღი 15/05/2012 09:48:33
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 15/05/2012

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N67 , დამოწმების თარიღი: 14/04/2011 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

მესაკუთრეები:

სსიპ ქელის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი: 246762061

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
სსიპ ქელის მუნიციპალიტეტი	საკუთრება	ფართი	სართული 2,	132.30 კვ.მ.

იპოთეკა

საგადასახლო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

შეზღუდული სარგებლობა

განცხადების
რეგისტრაცია
ნომერი
882014364497
თარიღი 10/07/2014
17:08:40

უფლების
რეგისტრაცია: თარიღი
18/07/2014

უზუფრუქტუარი: ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება 446754209;
მესაკუთრე: ქედის მუნიციპალიტეტი
საგანი: ფართი 62.5 კვ.მ;

ქედის მუნიციპალიტეტის და ა/ი/პ "ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებას" შორის დადებული
უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება N2, დამოწმების თარიღი 10/07/2014,
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,
მიღება-ჩაბარების აქტი, დამოწმების თარიღი 02/07/2014, ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულო,
ბრძანება, რეესტრის ნომერი NN01-19/290, დამოწმების თარიღი 02/07/2014, ქედის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის,

ვალდებულება

ყალბა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის




მოგალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგეწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

შპს „გეო“-ს დირექტორის ავტოგრაფი



	სართულიანობა
64.6	სართული
152.5	სართლის სართული ფართობი
	საფარველებელი ფართობი
	არასაფარველებელი ფართობი
	დამხმარე ბინების ფართობი
200.2	დამხმარე ბინების ფართობი
	დამხმარე ბინების კაპიტალიზაცია

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2022 წლის -- მაისი
დაბა ქედა**

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის -- მაისი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის -- მაისი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.gov.ge).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

ამირან ცინცაძე

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2022 წლის -- მაისს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2022 წლის -- მაისს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული, სხდომათა დარბაზი).

„„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2022 წლის -- მაისი.



პროექტი



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2022 წლის -- მაისი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო - ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.134.016241; 09/01/2018) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ლ¹“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ლ¹) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის, რეკლამის გავრცელების, პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსების ან/და აბრის გავრცელების წესის დარღვევისათვის საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ შესაბამისად ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა;“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე

ამირან ცინცაძე

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები. როგორც მოგეხსენებათ 2022 წლის 1 მარტიდან აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის შესახებ რეკლამის გავრცელებასა და აზრის განთავსებასთან დაკავშირებით ამოქმედდება შემდეგი შინაარსის 8³ მუხლი, რომლის თანახმადაც:

„1. აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის შესახებ რეკლამის რაიმე ფორმით ან საშუალებით, მათ შორის, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელით, გავრცელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

ა) აღნიშნული რეკლამა ვრცელდება იმ ვებგვერდზე განთავსებით, რომელზედაც დაშვებულია სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობის ან/და ტოტალიზატორის მოწყობა;

ბ) აღნიშნული რეკლამა ვრცელდება სპორტული ღონისძიების, სპორტული შეჯიბრების გამართვის ადგილზე ან/და სპორტული ორგანიზაციის საქმიანობის ადგილზე და აღნიშნული არის მათი საქმიანობის სპონსორობის სანაცვლო პირობა;

გ) აღნიშნული რეკლამა ვიზუალურად განთავსებულია იმ ობიექტზე, სადაც დაშვებულია აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს ან/და ბინგოს მოწყობა; ამასთანავე, ამ რეკლამის განთავსების ფართობი 10 კვ. მ-ს არ აღემატება და

იგი აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის შესახებ ერთადერთი რეკლამა აღნიშნულ ობიექტზე;

დ) აღნიშნული რეკლამა განთავსებულია საერთაშორისო მიმოსვლისთვის გახსნილი აეროპორტის ტერიტორიაზე ან/და სასაზღვრო-საბაჟო გამშვებ პუნქტზე.

2. დაუშვებელია აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის შესახებ ინფორმაციის შემცველი ერთზე მეტი აბრის განთავსება. ეს აბრა 10 კვ. მ-ს არ უნდა აღემატებოდეს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სპორტული ღონისძიების, სპორტული შეჯიბრების ან/და სპორტული ორგანიზაციის საქმიანობის სპონსორობის სანაცვლოდ რეკლამის გავრცელება ნებადართულია მხოლოდ ვიზუალური ფორმით, სპორტული ღონისძიების ან/და სპორტული შეჯიბრების გამართვის ადგილის (ობიექტის) შიდა პერიმეტრზე, ბანერის განთავსებით ან/და მოთამაშეთა (სპორტულ ღონისძიებაში/შეჯიბრებაში მონაწილეთა) უნიფორმაზე განთავსებით.

4. წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის საფუძველზე ჩასატარებელი გათამაშების შესახებ რეკლამის რაიმე ფორმით ან საშუალებით, მათ შორის, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელით, გავრცელება დაუშვებელია, თუ წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვა გაცემულია აზარტული თამაშობის ორგანიზატორზე, ტოტალიზატორის ორგანიზატორზე, ლოტოს ორგანიზატორზე ან/და ბინგოს ორგანიზატორზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

ა) აღნიშნული რეკლამა ვრცელდება იმ ვებგვერდზე განთავსებით, რომელზედაც დაშვებულია სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობის ან/და ტოტალიზატორის მოწყობა;

ბ) აღნიშნული რეკლამა ვრცელდება მხოლოდ აზარტული თამაშობის მოწყობის, ტოტალიზატორის მოწყობის, ლოტოს მოწყობის ან/და ბინგოს მოწყობის ობიექტის შიდა პერიმეტრზე“.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის რეკლამის გავრცელების, პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსების ან/და აბრის განთავსების წესების დარღვევისთვის ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომები განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158⁵ მუხლით, რომლის თანახმადაც:

„1. აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის რეკლამის გავრცელების ან/და აზრის განთავსების წესის დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ იმავე ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

3. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ლიცენზირებული/ავტორიზებული მაუწყებლის პროგრამაში აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის რეკლამის/სასპონსორო განცხადების გავრცელება ან/და პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსება – გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ იმავე ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა – გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირი ვალდებულია ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 კვირის ვადაში თავისი ხარჯით უზრუნველყოს იმ წესის/იმ წესების დაცვა, რომლის/რომელთა დარღვევის გამო მას ამ მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული სახდელი დაედო. ამ შენიშვნით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ჯარიმის გასამმაგებას.“

ამავე კოდექსის 239-ე მუხლის 27-ე პუნქტის თანახმად, 158⁵ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს, უფლებამოსილების ფარგლებში ადგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისა და კანონით გათვალისწინებული ზომების გატარების მიზნით, უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილების შეტანა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულებაში, რადგან დასახელებულ ადმინისტრაციული

სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე სწორედ ამ სამსახურს უნდა მიენიჭოს ეს უფლებამოსილება.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულებაში ცვლილების შეტანა, რათა სამართლებრივად მუნიციპალიტეტის დონეზე მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად ხდება დადგენილებაში ცვლილების/დამატების შეტანა, რომელიც წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ლ¹“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ლ¹) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის, რეკლამის გავრცელების, პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსების ან/და აბრის გავრცელების წესის დარღვევისათვის საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ შესაბამისად ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა;“

ა.დ) ნორმატიული აქტის მოკლე ვადებში იმილების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა დროულად განხორციელდეს საქართველოს კანონის „რეკლამის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შეტანილი ცვლილებების ასახვა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მოქმედ სამართლებრივ აქტში.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი -
სულიკო სურმანიძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.